

ჩემი პირველი მათემატიკა

ნახევარწინააღმდეგობრივი

2 კლასი

სახელი, გვარი _____ სკოლა _____

ამოცანები რომლებიც 3 ქულით ფასდება


1) დააკვირდი სურათს.




რომელი სამი ქოლგა უნდა მოდიოდეს შემდეგ?



2) დააკვირდი სურათს.



რომელი სურათი უნდა იყოს შემდეგი?




3) გვაქვს ვარდისფერი, ყავისფერი და მწვანე კუბები. ასევე გვაქვს ვარდისფერი, ყავისფერი და მწვანე ვარსკვლავები. ამ კუბებზე სამივე ვარსკვლავი ისე უნდა დავდოთ, რომ არცერთ კუბზე არ იდოს იმ ფერის ვარსკვლავი, რა ფერისაც არის კუბი. დააკვირდი მოცემულ სურათს. რა ფერის ვარსკვლავი შეიძლება დავდოთ ვარდისფერი კუბის თავზე?





- 1) ვარდისფერი 2) ყავისფერი 3) მწვანე 4) ამის გაგება შეუძლებელია

4) გრაფიკზე გამოსახულია ნაკრძალში ცხოველების რაოდენობა. რომელი ცხოველია ნაკრძალში ყველაზე ნაკლები?

- 1) თევზი 2) ავაზა
3) ლომი 4) კუ



5) ქვემოთ ჩამოთვლილი რიცხვებიდან რომელია ის რიცხვი, რომელიც არც წრეშია და არც სამკუთხედში?



- 1) 32 **2) 67** 3) 76 4) 11

6) თედოს ჰქონდა 2 რვეული. ანამ მას აჩუქა 6 რვეული, ხოლო ნინომ აჩუქა – 4. რამდენი რვეული აქვს ახლა თედოს?

- 1) 10 **2) 12** 3) 14

7) მაკამ ჩაიფიქრა რიცხვი. ცნობილია, რომ მის მიერ ჩაფიქრებული რიცხვი მეტია 21-ზე და ნაკლებია 25-ზე, მაგრამ არ არის ლუწი. რა რიცხვი ჩაიფიქრა მაკამ?

- 1) 22 **2) 23** 3) 24

8) ქვემოთ მოცემული რიცხვებიდან რომელია ისეთი რიცხვი, რომლის ერთეულების ციფრია 3, რომელიც მეტია 10-ზე და ნაკლებია 20-ზე?

- 1) 23 2) 31 **3) 13** 4) 33

9) ნინომ წიგნის კითხვა დაიწყო. მან პირველ დღეს წაიკითხა 9 გვერდი, მეორე დღეს – 8, მესამე დღეს – 4, ხოლო მეოთხე დღეს – 5. სულ რამდენი გვერდი წაიკითხა ნინომ ამ ოთხ დღეში?

- 1) 26** 2) 27 3) 28

10) რამდენი ცალი რვიაანი წერია ცხრილში?

- 1) რვა ცალი **2) ცხრა ცალი**
3) ათი ცალი 4) თერთმეტი ცალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 9 | 4 | 2 |
| 9 | 1 | 8 | 5 | 8 |
| 5 | 8 | 2 | 6 | 8 |
| 7 | 6 | 4 | 8 | 3 |
| 8 | 3 | 8 | 5 | 8 |

11) რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში, რომ ტოლობა იყოს ჭეშმარიტი (სწორი)? $2 \square + 17 = 45$

- 1) 28 2) 18 **3) 8** 4) 5

12) კახას ჰქონდა 2 ლარი და 28 თეთრი. მას სანდრომ კიდევ 5 ლარი და 30 თეთრი აჩუქა. რა თანხა აქვს ახლა კახას?

- 1) 6 ლარი და 67 თეთრი **2) 7 ლარი და 58 თეთრი** 3) 5 ლარი და 50 თეთრი

13) მოცემული ტოლობებიდან რამდენია მცდარი (არასწორი)?

$52 - 3 = 49$ $45 - 34 = 14$ $53 - 45 = 8$ $34 - 29 = 6$

- 1) ერთი **2) ორი** 3) სამი 4) ოთხი

14) რამდენი ლუწი რიცხვია ქვემოთ მოცემულ სურათზე?



- 1) 7 2) 6 3) 4 **4) 3**

15) ქვემო მოცემული რიცხვებიდან რომელია დანარჩენებზე დიდი?

- 1) 70 2) 84 **3) 93** 4) 87

ამოცანები რომლებიც 4 ქულით ფასდება

16) ანიმ ჩაიფიქრა რიცხვი. ამ რიცხვს გამოაკლო 2, კიდევ გამოაკლო 6 და მიიღო 5. რა რიცხვი ჩაიფიქრა ანიმ?

- 1) 10 2) 11 3) 12 **4) 13**

17) წარმოიდგინეთ, რომ სურათზე ნაჩვენები ვარსკვლავებიდან ვირჩევთ ერთს ისე, რომ სურათს არ ვუყურებთ, ანუ ვირჩევთ ერთ ვარსკვლავს შემთხვევით. რომელი ვარსკვლავის არჩევაა უფრო სავარაუდო გაფერადებულის, თუ გაუფერადებელის?



- 1) გაფერადებულის 2) გაუფერადებელის

3) გაფერადებული და გაუფერადებელი ვარსკვლავების არჩევა თანაბრად სავარაუდოა

18) ანი 5 წლის წინ 30 წლის იყო. რამდენი წლის შემდეგ იქნება ანი 45 წლის?


- 1) 8 წლის 2) 9 წლის **3) 10 წლის** 4) ამის გაგება შეუძლებელია

19) მოცემული წერტილოვანი დიაგრამა გიჩვენებს ასაკების მიხედვით ბავშვების რაოდენობას, რომლებიც დადიან ტანვარჯიშზე. დიაგრამაზე მითითებული რიცხვები გიჩვენებს ბავშვების ასაკს, ხოლო წერტილები ბავშვების რაოდენობას. დიაგრამის მიხედვით სულ რამდენი 9 და 10 წლის ბავშვი დადის ტანვარჯიშზე?



- 1) 10 **2) 13** 3) 8

20) მოცემულია სამი ფიგურა. თითოეული მათგანის შუა წრეში ჩაწერილი რიცხვი მიღებულია დანარჩენი სამი რიცხვის მეშვეობით, გარკვეული კანონზომიერებით. რა რიცხვი უნდა ეწეროს მესამე ფიგურის შუა წრეში, კითხვის ნიშნის ადგილას?



- 1) 3 2) 4 3) 5 **4) 6**

21) პარკში იყო 8 ათეული კაკალი. ბაბუამ 5 ცალი კაკალი ამოიღო, ბებიამ კი – 2 ათეული. რამდენი ცალი კაკალი დარჩა პარკში?

1) ერთი ცალი

2) სამოცდაცამეტი ცალი

3) ორმოცდათხუთმეტი ცალი

4) სამოცდახუთი ცალი

22) თაროზე 20 წიგნი იდო. დილით წიგნების ნახევარი გადმოიღეს, საღამოს კი დილით გადმოღებულ წიგნების ნახევარი უკან დააბრუნეს. რამდენი წიგნი დევს ახლა თაროზე?

1) 20 წიგნი

2) 15 წიგნი

3) 10 წიგნი

4) 5 წიგნი

23) ერთი კილოგრამი მსხალი 3 ლარი ღირს, ერთი კილოგრამი ვაშლი – 2 ლარი, ერთი კილოგრამი კომში კი – 4 ლარი. სულ რამდენი უნდა გადავიხადოთ, თუ ვიყიდით ორ კილოგრამ მსხალს, ორ კილოგრამ ვაშლს და ორ კილოგრამ კომშს?

1) 9 ლარი

2) 18 ლარი

3) 14 ლარი

4) 20 ლარი

24) რას მივიღებთ, თუ გავანახევრებთ ექვსზე მეტ და თექვსმეტზე ნაკლებ ყველა ლუწი რიცხვის ჯამს?

1) ჩვიდმეტს

2) ოცდარს

3) ოცდაცამეტს

4) ორმოცდაოთხს

25) რას მივიღებთ, თუ 36-ის უახლოეს ხუთეულს მივუმატებთ 44-ის უახლოეს ათეულს?

1) 75-ს

2) 80-ს

3) 85-ს

4) 90-ს

ამოცანები რომლებიც 5 ქულით ფასდება

26) თამუნამ შვიდლარიანი თოჯინა შეიძინა. მან გამყიდველს ორმოცდაათლარიანი მისცა. გამყიდველმა ერთი ოცლარიანი და ერთი ათლარიანი დაუბრუნა. კიდევ რამდენი ლარი უნდა დაუბრუნოს გამყიდველმა თამუნას?

1) 27 ლარი

2) 23 ლარი

3) 20 ლარი

4) 13 ლარი

27) მაღაზიაში იყიდება სხვადასხვა ფერის ბუშტები. წითელი ბუშტი 1 თეთრი ღირს, ლურჯი ბუშტი – 3 თეთრი, შავი – 5 თეთრი. ნინომ იყიდა 3 ბუშტი და გადაიხადა 5 თეთრი. რა ფერის ბუშტები იყიდა ნინომ?

1) შავი ფერის 2) წითელი ფერის და შავი ფერის

3) წითელი ფერის და ლურჯი ფერის

28) მარიამს, ნინოს და თეონას ოცი თოჯინა აქვთ. ქვემოთ მოცემული რომელი წინადადებაა აუცილებლად არასწორი?

1) მარიამს 6 თოჯინა აქვს, ნინოს – 9, ხოლო თეონას – 5;

2) მარიამს 7 თოჯინა აქვს, ნინოს – 5, ხოლო თეონას უფრო მეტი, ვიდრე მარიამს;

3) მარიამს და ნინოს შვიდ-შვიდი თოჯინა აქვთ, ხოლო თეონას უფრო ცოტა, ვიდრე მარიამს;

4) მარიამს 7 თოჯინა აქვს, ნინოს – 3, ხოლო თეონას უფრო მეტი, ვიდრე მარიამს და ნინოს ერთად.